ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №424640

ნომერი: AR190655

თარიღი : 05.11.2012

გაცემის თარიღი : 08.11.2012

გაცნობის თარიღი : 12.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზაზე, გლდანისაკენ ჩასახვევი გზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაზმიშვილი პ/ნ 01019067412
- თბილისი თემქა XI მ/რ II კვ. კორ. 23 ბ. 50

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის არემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობა–ნაგებობის ფასადსა და სარეკლამო ტაბლოზე I კლასის სარეკონსტრუქციო

სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, საქართველოს სამხედრო გზაზე, გლდანისაკენ ჩასახვევი გზის მიმდებარედ შპს „ვაზი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 001/055) განთავსებული შენობა–ნაგებობის ფასადისა და სარეკლამო ტაბლოს რეკონსტრუქციის შესაძლებლობას, პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური”. ,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882012031384 01/02/2012 წ. საკადასტრო კოდი N 01.13.01.001.055, არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, საქართველოს სამხედრო გზაზე, გლდანისაკენ ჩასახვევი გზის მიმდებარედ შპს „ვაზი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 001/055) განთავსებული შენობა–ნაგებობის ფასადისა და სარეკლამო ტაბლოს რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ უზრუნველყოფილი იქნას სარეკლამო ტაბლოს კონსტრუქციული მდგრადობა.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge